ოთხშაბათი, 18 ივლისი 1907 წ.

61

წელიწადი პირველი № 153

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყ-ველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. [illegible] —10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. [illegible] სუნისთვის საჭიროა [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

[illegible] 191 [illegible]
21/4-65
1

## „ისარი"-ს ხელის მოწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხელის ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან., ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

**ივანე, სერგეი, ვასილ, არშაკ და ალექსანდრე ზურაბის ძენი ნატალია და სოფიო ზურაბის ასულნი და სოფიო იაგორის ასული, მარიამ მიხეილის ასული და ვერა გერასიმეს ასული მირზოევები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, 11 ივლისს ქ. კისლოვოდსკში: პირველნი—საყვარელის დედის ® უკანასკნელნი ძვირფასს დედამთილის

## ნინო რომანის ასულის მირზოევისას.

პანაშვიდი ოთხშაბათს, 18 ივლისს, საღამოს 7 საათზე (საკუთარ სახლში, სოლოლაკის და სერგიევის ქ. კუთხე № 1) ცხედრის გამოსვენება მოღნინის წმ. გიორგის ეკკლესიაში ხუთშაბათს, 19 ივლისს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა სომეხთა ვერის სასაფლაოზე (2—213—1)

---

**თალია ზურაბის ასული ყორღანოვისა ქალებითურთ მარგარიტა ვასილის ასული ყორღანოვისანი და ანტუანეტა ვასილის ასულით ფრენკელითანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. კისლოვოდსკში 11 ივლისს. პირველი—დაუვიწყარის დედისა და დანარჩენნი—დიდდედის

## ნინო რომანის ასულის მირზოევისას.

პანაშვიდი ოთხშაბათს, 18 ივლისს, საღამოს 7 საათზე (საკუთარ სახლში, სოლოლაკისა და სერგიევის ქუჩების კუთხე № 1). გარდაცვალებულს გაასვენებენ მოღნინის წმ. გიორგის ეკლესიაში ხუთშაბათს, 19 ივლისს და წირვის შემდეგ დაკრძალვენ სომეხთა ვერის სასაფლაოზე. (2—213—1)

---

**სოფიო რომანის ასული ხითაროვისა და ელისაბედ რომანის ასული შახქალამოვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უძვირფასესის დის

## ნინო რომანის ასულის მირზოევისას.

პანაშვიდი ოთხშაბას, 18 ივლისს, საღამოს 7 საათზე (საკუთარ სახლში, სოლოლაკში, სერგიევის ქუჩა, № 1). განსვენებულს გაასვენებენ მოღნინის წმ. გიორგის ეკკლესიაში, ხუთშაბათს, 19 ივლისს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა სომეხთა ვერის სასაფლაოზე. (2—213—1)

---

უდროოდ დაჭმუნვებული **ლისა გიორგის ასული მახარაძისა და ვასილ კონსტანტინეს ძე მახარაძე** გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის დაუვიწყარ შვილის და შვილის-შვილის, მეორის—საყვარელ დის და შვილის

## ციცინოს და ლიდას

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, 21 ამა ივლისს, სოფელ ვანის მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულთა სულის მოსახსენებლად. (1—211—1)

---

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

## „დროების კალენდარი"

დამდეგი 1908 წლისათვის.

**„დროების კალენდარი" შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს" იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

## კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელში თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში" დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**

დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის" რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. **„კალენდრის"** გამომცემელს.

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი

**შ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**გინეკ. და ვენერიულ.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—137)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—16)

ექიმი

**მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—89)

**ქუთაისში**

ექიმი მაჭრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—45)

---

## ტფილისი, 18 ივლისი.

როგორც იქნა, დაინიშნა ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. საზოგადოების გამგეობა, ალბათ, აუხსნის კრებას, რათ დაგვიანდა ასე სავალდებულო მორიგ კრებათა მოწვევა და რა მიზეზებით აიხსნება ის კრიზისი, რომელსაც განიცდის ეს ჩვენი კულტურული დაწესებულება. თავის მხრით საზოგადო კრებაც ეცდება, ალბათ, გამოარკვიოს საზოგადო დღევანდელი მდგომარეობა და ღონე რამ იღონოს საქმეთა გასაუმჯობესებლად.

მაგრამ (საუბედუროდ ამ „მაგრამს" ვერცერთ ჩვენ საქმეში ვერ ავცდებით) ვეჭობთ, რომ ბოლოს და ბოლოს ამ გამორკვევა-ცდიდან რაიმე გამოვიდეს. ამის საბუთს გვაძლევს დრამატიულ საზოგადოების მწარე წარსული, მისი მართლა რომ **დრამატიული** ისტორია. განა პირველად არის ეს დაწესებულება დღევანდელს ყოფაში? განა მთელი მისი არსებობა ხანგრძლივი კრიზისი არ არის? ჩვენ არ გვახსოვს, როდის იყო აყვავებული მისი მდგომარეობა და ამიტომ არც ახლანდელი მისი უნუგეშო ყოფა მიგვაჩნია არა-ჩვეულებრივად. წინადაც არა ერთხელ ყოფილა იგი გამზადებული საუკუნოდ განსასვენებლად და არა ერთხელ მიუღია საზოგადოებას „ღონის ძიებანი საქმეთა გასაუმჯობესებლად". მაგრამ გასულა რამდენიმე წელიწადი და საქმე ისევ აწეწილა და „ისტორია" თავიდან დაწყებულა. ვფიქრობთ, რომ ახლაც იგივე „ისტორია" თავდება და იწყება...

ამის საბუთს გვაძლევს ის მითქმა-მოთქმა, ის ლაპარაკი, რომელიც ახლა არის ჩვენს საზოგადოებაში. ყველგან ერთი და იგივე გვესმის—სამდურავი გამგეობის წევრებზე. როგორც წინად, ისე ახლაც ვხედავთ, რომ ჩვენ გვინდა მთელი ბრალი ორიოდ-სამიოდ ადამიანს მოვახვიოთ კისერზე, ამით ავხსნათ მთელი კრიზისი და ახალ წევრების ამორჩევით მოვიშოროთ თავიდან სადავიდარაბო საკითხი. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს, დღევანდელი გამგენი დრამატიულ საზოგადოებისა დავიცვათ და ვამართლოთ; გვესმის ისიც, რომ ადამიანთა ენერგიიდან, ცოდნიდან, საქმისადმი სიყვარულიდან ბევრია დამოკიდებული. მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ ვთქვათ, რომ უნუგეშო მდგომარეობის მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე ამა თუ იმ გამგეთა ღირსება-ნაკლულევანებანი და რომ პირთა შეცვლით საქმეს ბევრი არაფერი არ ეშველება. განა ეს არ გვიცდია? გვიცდია და რამდენჯერ: ვგონებთ, მთელი ჩვენი ინტელიგენცია რიგ-რიგობით ყოფილა ამ საზოგადოების მმართველ ორგანოს წევრებად და ყოველ ახალ შეცვლაზე იმედი დაგვბადებია—აი ესენი ივარგებენო, მაგრამ მალე იმედი გამქრალა და ისევ ახალ-ახალ „მოღვაწეების" ძებნას შევდგომივართ. ახლაც ასე ვიქცევით: გაცხარებული ძებნაა ახალის კანდიდატებისა; უეჭველია მოვძებნით ახალ შვიდეულს, ჩავაბამთ საქმეში და მერე განზე მივდგებით სეირის საყურებლად.

ასეთი ფუქსავატი მოქმედება, ასეთი გულ გრილობა, ასეთი ცალმხრივობა ნიშანია ჩვენის უკულტურობისა, ჩვენის ჩამორჩენისა, ჩვენის საზოგადო უნუგეშო მდგომარეობისა. აქ უნდა ვეძიოთ მიზეზები ყველა ჩვენებურ საზოგადოებრივ კულტურულ საქმეთა და დაწესებულებათა გაუკუღმართებისა და ამის მიხედვით უნდა მოიძებნოს ღონისძიებანი საქმის გამოსაკეთებლად, თორემ ახალ შვიდეულის მოძებნა ძნელი არ არის და კრიზისს არაფრადაც უშველის. საჭიროა თვით საქმის ვითარებასა და ორგანიზაციაში ჩავიხედოთ, საჭიროა თვით ჩვენს დამოკიდებულებას „საზოგადოებასთან" დავუკვირდეთ და მხოლოდ მერე ვეძიოთ გამგენი...

კერძოთ ჩვენის აზრით, დრამატ. საზოგადოებას სრული რეორგანიზაცია სჭირდება. დაარსების დღიდანვე მისმა მოღვაწეობამ ცალმხრივი და შეუსაბამო მიმართულება მიიღო. ნაცვლად პირდაპირის თავის დანიშნულებისა, საზოგადოება გადაიქცა ტფილისის ქართულ სცენის ანტრეპრენიორად და ეს იყო მხოლოდ მისი საზრუნავი საქმე. საზოგადო კრებანი ირჩევდნენ რამდენიმე წლით ანტრეპრენიორებს, აბარებდნენ მათ ტფილისის ქართულ თეატრის წაყვანის საქმეს და იმის მიხედვით—იმართებოდა თუ არა ტფილისში წარმოდგენები—იწონებდენ ან ჰგმობდენ გამგეთ. უკანასკნელნიც ასე უყურებდნენ თავის დანიშნულებას და, ხელოვნების სამსახურის მაგიერ, ჩნდება კომერციული საქმე, რომლის მოთავეთა ერთად-ერთი მიზანი იყო, აუცილებელი ზარალი შეემცირებინათ მინიმუმამდე და შემდეგ შეევსოთ საიდანმე. შეიძლება ესეთი მოღვაწეობა საჭირო იყო პირველ ხანს; როცა ქართულ სათეატრო საქმეს ფესვები არ ჰქონდა ხალხში; მაგრამ შემდეგში, როცა თეატრი მოთხოვნილებათ გადაიქცა, „საზოგადოების" ანტრეპრენიორობა საჭირო აღარ იყო, კიდევ მეტი: ისეთი, იმ **ხასიათის** მფარველობა ვნების მეტს ვერაფერს მოუტანდა თვით სასცენო ხელოვნებას... ჩვენის ფიქრით, დროა დრამატ. საზოგადოებამ ამ ანტრეპრენიორობას თავი დაანებოს; ეს საქმე თვით არტისტებსა და კერძო ამხანაგობათ ან პირთ უნდა ჩაებაროს, რომელთაც, რასაკვირველია, ყოველგვარი დახმარება, ქონებრივი და ზნეობრივი, უნდა ჰქონდეს „საზოგადოებისაგან". ხოლო თვით „საზოგადოება" უნდა შეუდგეს საზოგადო **განმანათლებელ და ხელოვნების განმავითარებელ** დაწესებულების დანიშნულების ასრულებას განმანათლებელი როლი მისი გამოიხატება სახალხო თეატრის, სახალხო სასცენო საქმის მოწყობაში მთელს საქართველოში, ხოლო ხელოვნების განვითარების საქმის დახმარება უნდა გამოიხატოს სათეატრო სკოლის შექმნაში, რეპერტუარის გამდიდრებაში და სხვა ამგვარ მოღვაწეობაში, ურომლისოდ ჩვენის თეატრის საქმე ვერასოდეს ვერ წავა წინ განვითარების გზაზე და ვერავითარ წინაამღდეგობას ვერ გაუწევს უცხო სათეატრო ხელოვნების დამკვიდრებას ჩვენში.

რასაკვირველია, ასეთ მოღვაწეობის დასაწყებადა და საწარმოებლად საჭიროა თვით ქართველ საზოგადოების დიდი თანაგრძნობა და ყურადღება თავის კულტურულ დაწესებულებისადმი; საჭიროა არა მარტო ენერგიულ მოღვაწეთა არჩევა, არამედ მუდმივი კავშირი საქმესთან, ნივთიერი დახმარება და პირდაპირი მუშაობა „საზოგადოების" სექციებში—სახალხო თეატრის, რეპერტუარის დამზადების თუ სხვა რომელისამე საქმის წინ წასაწევად. ხალხსა და კულტურულ დაწესებულების შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს, თორემ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მისი გახსენება და ერთხელ შეკრება „ახალ" გამგეთა ასარჩევად სრულებით არაფერია და ჩვენის თეატრის საქმეს მუდმივ კრიზისიდან ვერ დაიხსნის.

## სოფლის მასწავლებელთა ბანაკიდან

სრულიად რუსეთის მასწავლებელთა და მოღვაწეთა კავშირის მეოთხე კრებას, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დაუდგენია ბოიკოტი გამოუცხადოს მესამე სახელმწიფო სათათბიროს, რასაც, რასაკვირველია, ეცდება გაატაროს თავის ხელქვეითი მასწავლებლებთა ორგანიზაციებში, ხოლო ამ უკანასკნელთა შემწეობით ხალხში ზემოხსენებულ კავშირის წევრთა უმრავლესობა ეს-ერულის მიმართულებისაა, უმცირესობა კი სხვა და სხვა უკიდურეს პარტიისა.

პირველ სათათბიროს დროს, როდესაც თვით მთავრობა სცდილობდა მოეხიბლა ხალხი, უკიდურესმა პარტიებმა და მათთან ერთად კავშირმა ბოიკოტი მიუძღვნეს, რადგან მაშინ სათათბიროს უმთავრესად რეაქციის იარაღად სთვლიდნენ. მაგრამ ბოიკოტი იმპერიის მცხოვრებთა უმრავლესობაში ვერ განხორციელდა. ვერ განხორციელდა იგი კავშირის ხელქვეით ზოგიერთ ორგანიზაციებში. მასწავლებელთა უმრავლესობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და გლეხთა კურიებიდან გავიდა კიდეც დეპუტატად 20 მასწავლებელი*), ამათგან 12 თვით კავშირის წევრი. სათათბიროს ერთი თვის მოღვაწეობის შემდეგ ცენტრალურმა ბიურომ, სცნო რა სათათბიროს რევოლიუციონობა და მისი მნიშვნელობა ხალხის შეერთებისა და გათვითცნობიერების საქმეში, დეპუტატ მასწავლებლებს, რუსულ ანდაზისა არ იყოს „Лучше поздно, чѣмъ никогда"-ო, ნდობა გამოუცხადა განსაკუთრებულის რეზოლიუციით, რომელიც შემუშავებულ იქნა კავშირის მესამე კრებაზე 1906 წლის ივნისში. მესამე კრებაზე ადრე ნდობა გამოუცხადა დეპუტატ მასწავლებლებს მოსკოვის საოლქო მასწავლებლებთა კავშირმა. ამ რეზოლიუციებით, ნდობის გარდა კავშირები აძლევენ დირექტივებს დეპუტატ მასწავლებლებს და აღუთქვავენ დახმარებას და მხარის დაჭერას ეს-დეკებს და მშრომელთა ჯგუფს, ე. ი. იმ უკიდურეს მემარცხენეთ, რომელნიც მაშინ სათათბიროში მოჰყვნენ.

პირველი სათათბირო რევოლიუციონურის სიტყვებით და გამოსვლით (ვიბორგის მოწოდება), ასე თუ ისე, რევოლიუციის უმთავრეს ძარღვად გადაიქცა, ამიტომ მეორე სათათბიროს თვით მთავრობამ გამოუცხადა ბოიკოტი სხვა და სხვა ცირკულიარით. იმპერიის ზოგიერთ კუთხეში მასწავლებელთ ხელ-წერილებს ართმევდნენ—არ მიიღოთ მონაწილეობა არა-ლეგალურ პოლიტიკურ პარტიებში. შეერთებულმა მასწავლებლობამ ღირსეულად დააფასა ოინები. მან რეზოლიუციით მიმართა მასწავლებელთა ორგანიზაციებს, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „რადგან ბრძოლა ადამიანის უფლებების მოპოვებისთვის სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა პირობაში ხდება, ამიტომ ვურჩევთ ორგანიზაციებს იმოქმედონ თავიანთის შეხედულობით და შეჰკრან საარჩევნო კავშირები ოპოზიციონურ პარტიებთან, გარდა კადეტებისა".

რეპრესიების მიუხედავად, არჩევნებმა

---

*) იხ. ჟურ. „Прос." № 9.

ველთა ისე გაიარა, რომ არავის ყურადღება არ მიუქცევია. საარჩევნო აგიტაცია არ არის. ამრჩევლებთა სიები ამ თვის დამლევს მზად იქნება და გამოჰფენენ ყიდეც სამაზრო სამმართველოსა და ქალაქის გამგეობაში. რუსთა კავშირის არჩევნები მოხდება ქუთაისსა და სენაკში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ფოთელი რუსი ამრჩევლები. სხვა მაზრებში თუ აღმოჩნდნენ რუსი ამრჩევლები, ისინი დგილობრივ მკვიდრთან ერთად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. გუბერნატორმა აცნობა ქუთაისის ქალაქის პოლიციას, რომ მან წინ დახედულად ამოიღოს მოწმობა სახლის დამქირავებელთ, რათა არ განმეორდეს ის, რაც წინა არჩევნებში მოხდა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, თუ ქალაქი დროზე არ გადაიხდის იმ ფულს, რომელიც ვალად დაედო პოლიციისა და ჯარის შესანახად, მთელი გამგეობა პასუხის გებაში იქნება მიცემულიო. მთავრობის მიერ ნება-დართულ სესხის განაღდება ქალაქის გამგეობამ ვერ მოახერხა და მიმდინარე შემოსავალი ქალაქის კასისა ამგვარსავე ხარჯსა ჰფარავს. ამიტომ წლითი წლობით შეგროვილი ვალი გაუსტუმრებელი რჩება. ქალაქის გამგეობა იმ აზრზე დამდგარა, რომ ვალის განაღდება მოსახერხებელია მხოლოდ ქალაქის უძრავ მამულის დაგირავებით, რასაც უკვე შესდგომია.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ მიმართა წინადადებით მრეწველთ, აღნიშნონ ის საკითხები, რომელებიც სურთ შეიტანონ საგანგებო კრების პროგრამაში. კრებას იწვევს საბჭო თავჯდომარისა და იმის მოადგილის ასარჩევად, ნაცლად გიორგი ზდანოვიჩისა და კიტა აბაშიძისა, რომელნიც სამსახურს ვადამდის თავს ანებებენ.

✦ შავი ქვის საბჭო ჭიათურაში გადადის. ამიტომ მან მოსთხოვა იმ მოსამსახურეთ, რომელთაც ბინა აქვთ საბჭოს შენობაში, გაანთავისუფლონ. შენობაში მოთავსდება საბჭოს კანტორა.

✦ 5 ივლისს პირველად შეიკრიბა სტიპენდიების განმანაწილებელი კომისია, რომელსაც შეადგენენ გუბერნიებისა და მაზრის წინამძღოლები, სამაზრო დეპუტატები და მაზრების წარმომადგენელნი. კომისიამ საჭიროდ დაინახა, რომ სტიპენდიები განაწილდეს მაზრების კომისიის მიერ. მაზრების კომისიას შეადგენს მაზრის წინამძღოლი, დეპუტატი და რწმუნებული. სტიპენდიები მაზრებად ამრიგად გაანაწილეს: ქუთაისისა და შორაპნის მაზრას მიეცა უმაღლეს ? ავლებლებ-მლით ში ექვს-ექვსი და საშუალოში ცამეტ ცამეტი სტიპენდია. დანარჩენ მაზრებს: უმაღლესში — ხუთ-ხუთი და საშუალოში თორმეტ-თორმეტი. ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში. თვით პრინციპი გუბერნიის მაზრებად დაყოფისა გარდა იმისა, რომ ყოველ აზრს მოკლებულია, მეტად უსამართლოც არის. საკმაოა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თავად-აზნაურთა რიცხვი, მაზრებად თანასწორად არ არის დაყოფილი. მაგალითად, ლეჩხუმის მაზრაში თავად-აზნაურთა რიცხვი არ აღემატება 800 კომლს, იმ დროს როცა ქუთაისში თითქმის 3000 კომლამდის ითვლება. გარდა ამისა მცხოვრებთა რიცხვის დაგვარად თხოვნების რიცხვია განაწილებული. ჩვენის ცნობით, ლეჩხუმის მაზრიდან მოსულა სულ არა უმეტეს ოცდა ათის თხოვნისა, ისიც ზოგი ისეთ პირთაგან, რომელნიც უმწეო ღარიბებად არ ჩაითვლებიან. ქუთაისის მაზრიდან-კი სამასამდე თხოვნა მოსულა. რომელმა სამართალმა უკარნახა კომისიას, რომ ერთ შემთხვევაში 17 სტიპენდია 30 კაცს გაუნაწილოს, ხოლო მეორეში 19 სამას კაცს?!

ქუთაისის მაზრის წინამძღოლს წინადადება შეუტანია, რომ დებულების ხელმეორედ განსახილველად მოწვეულ იქმნას საგანგებო კრება, რომელიც უნდა მოხდეს 8 აგვისტოს.

✦ ვერაგულად მოკლულ ნიჭიერი ახალგაზდა იცკა რიჟანაშვილის დასაფლავების წლის თავზე, ებრაელებს თარიღით 8 ივლისს, მის საფლავზე თავი მოიყარა ებრაელ ახალგაზდობამ პარტიულ მიმართულების განურჩევლად იცკას ხსოვნის პატივსაცემლად წარმოითქვა რამდენიმე მგრძნობიარე სიტყვა.

# პრესსა

გაზეთ „რეჩ“-ი გაკვირვებულია იმ გარემოებით, რომ „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის მნიშვნელობა რუსეთის ცხოვრებაში დღითი-დღე იზრდება. ჩვენი ცხოვრება სავსეა მოულოდნელის და განსაცვიფრებელის მოვლენებითაო, რომელთა ახსნა ერთობ ძნელიაო.

> განა საკვირველი არაა, რომ «ჭეშმარიტ რუსთა“ ღატაკი კავშირი,—ღატაკი ზნეობრივადაც და წევრთა რიცხვის სიმცირითაც— ასეთ დიდ როლს თამაშობს რუსეთის თანამედროვე ცხოვრებაში?!.

გაზეთს მოჰყავს უკანასკნელი „პრიკაზი“ კავშირის მთავარ გამგეობისა, რომ... ლებ-მლით ადგილობრივ კომიტეტებს ებრძანა: ორის კვირის განმავლობაში შეადგინეთ სიები ქალაქებში მცხოვრებ პოლიტიკურად არა საიმედო პირებისა, რათა ამათ წინააღმდეგ „რადიკალური ღონისძიებანი“ ვიხმაროთ და მომავალ არჩევნებში მონაწილეობა არ მივაღებინოთო. გაზეთი გაკვირვებულია, რომ ასეთის ბრძანების გამოცემა შეუძლია კავშირს და მთავრობას არც კი რცხვენიაო...

კადეტების ოფიციალურ ორგანოს კიდევ სჯერა, რომ რუსეთის დღევანდელი მოავლობა პარტიებს გარეშე სდგას. გასაკვირველი უფრო ეს ილლიუზია არის, ვიდრე „ჭეშმარიტ რუსთა“ საგმირო საქმენი და დიდი როლი...

* *
*

„ნოვ. ვრ.“ განაგრძობს თავის სახელოვან ბრძოლას „ინოროდცების“ წინააღმდეგ. უკანასკნელ წერილში მენშიკოვი ამბობს:

> ყოველი მოწაფეც-კი მიხვდება, რომ **რუსულ** პარლამენტში მხოლოდ რუსები უნდა იყვნენ... როგორღა მოხდა, რომ სათათბიროში მოჰყვნენ რუსეთის დაუძინებელნი მტერნი, რომელთათვის რუსეთის ძლევამოსილება— ტანჯვაა. ყველას გაუკვირდებოდა, ჩვენს პარლამენტში, მაგალითად, ესპანელები ან ბრაზილიელები მოსულიყვნენ. მაგრამ რათ არ უკვირთ, როცა რუსეთის პალატაში სხედან და კანონმდებლობენ ებრაელები, პოლონელები, ლატიშები, სომხები, რომელნიც არა მარტო უცხონი არიან ჩვენთვის, როგორც ესპანელები, არამედ დაუძინებელი მტერნიც... მოწაფესაც-კი ესმის, რომ ქვეყნის მთავარ ციხეში და სიმაგრეში, როგორიც სათათბიროა, მტრის შემოყვანა არ შეიძლება, რომ მაშინ ციხე შიგნიდან გატყდება. ჩვენს მთავრობას-კი ეს არ ესმის და ლუპავს სახელმწიფო შენობას...

შემდეგ მენშიკოვი იკვლევს მთავრობის ამ გაუგებრობის და „დაბრმავების“ მიზეზს და ამბობს:

> ალბათ ღმერთი გაუწყრა რუსეთს მრავალ ცოდვებისათვის და მის მმართველთ ჭკუა წაართვა: როცა განგებას ვისიმე დასჯა უნდა, პირველად ყოვლისა გონებას წაართმევს...

სრული ჭეშმარიტებაა და ამას თვით მენშიკოვი ამტკიცებს ყოველ დღე: მხოლოდ გონება დაკარგული ადამიანი დასწერდა ზემოხსენებულ სტრიქონებს; მხოლოდ გონება დაკარგული გამოაცხადებს რუსეთის მცხოვრებთა მთელ ნახევარს მტრებად და ურჩევს მთავრობას—ჩვენს სახელმწიფოს მთავარ დაწესებულებაში ნუ შემოიყვან მათაო...

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ პრესსის მეორე ნაწილში კორრეკტურული შეცდომაა: დაბეჭდილია—ეს **ბუნების** ლოგიკაა უნდა იყოს... ეს **ბუშმენის** ლოგიკაა.

# პროვინციის ცხოვრება

**საჩხერე.** შემოდგომის მოდგომაში გამოუთქმელი მწუხარება გამოიარა შორაპნის მაზრამ. მარტში ხალხმა თესვა ვერ მოასწრო. აპრილიდან ივნისამდე კი საშინელი სიცხეები იდგა და შეუძლებელი იყო ხვნა-თესვა. სიცხეებისაგან ყველაფერი შეიტრუსა, ბალახი ჩახმა. წელს ბალახი არავის მოუთიბია. ხალხმა აღარ იცოდა, რა ექნა. საბედნიეროდ მაისის ბოლო რიცხვებში დიდი წვიმა მოვიდა და ხალხი გულ-მოდგინედ შეუდგა ხვნა-თესვას. რამდენისამე ხნის შემდეგ ისევ სიცხეები დაიჭირა და თესვა კვლავ შეჩერდა. ბევრმა ვერ მოასწრო დათესვა. დათესეს მეორე წვიმაზე. ამ ჟამად ნათესი იმედს იძლევა. უფრო კარგია ადრე დათესილი სიმინდი. თუ კარგი ამინდი შეხვდა, შეიძლება ხალხი ისე არ დაიმშეს, როგორც მოსალოდნელი იყო. პური უკვე მოიმკო და გახურებული კალოობაა. პური ძალიან ნაკლებად მოვიდა. იგი სიმინდის მოსვლამდე არც კი ეყოფა ხალხს. საზოგადოდ, ადგილ-მამულის სივიწროვისა გამო მცხოვრებთა 98% -ს არ მოსდის წლის სარჩო. ხალხი თითქმის თებერვლიდან ნაყიდი საკვებით საზრდოობს. ძალიან გაძვირდა სიმინდი. ფუთი 1 მანეთი 40 კაპეიკამდე ავიდა.

სულს იბრუნებენ შავი-ქვის წარმოებით. წელს დიდი მოთხოვნილებაა ქვისა, რამაც აუარებელი ხალხი მიიზიდა ჭიათურაში. გამორჩენაც კარგია. სამწუხაროდ, ჭიათურისა, ჭიქორისა და დარკვეთის საწყობებზე მადაროებიდან ქვის მზიდავ და მადაროებში მომუშავეთათვის, ცოტა არ იყოს, კრიზისი იწყობა. მიზეზი რკინის გზაა. აღნიშნულ საწყობებზე დიდ ძალი ქვა ჰყრია, რადგან გზა მოთხოვნილებას ვერ აუდის.

ამ ბოლო დროს საჩხერის რაიონში მეაბრეშუმეობამაც მოიკიდა ფეხი. წინად ათასში სამი თუ მისდევდა ამ საქმესა, ისიც თავის საჭიროებისათვის. ეხლა, რაკი „კოლხიდასა“ და სხვა ამ გვარ ამხანაგობებმა იმერეთის ზოგიერთ ნაწარმოებს ბაზარი მოუპოვეს, შიგა და შიგ ხალხი შეუდგა აბრეშუმის მოვლა-მოშენებას. წელს საჩხერის ნაწილში 140 ფუთამდე აბრეშუმი მოვიდა და შედარებით კარგ ფასშიაც გასაღდა. კარგი იქნება „კოლხიდამ“ ჩვენს კუთხესაც მიაქციოს ყურადღება. წელს ვაჭრებს უნდოდათ მუქთად ჩაეგდოთ პარკი, მაგრამ გამოჩნდა რამდენიმე ინტელიგენტი, ადგილობრივი მასწავლებელნი, რომელთაც პარკის ფასი აწევინეს.

ყველამ იცის, ხალხი რა უზომოდ არის დატვირთული გადასახადებით. ესეც არ აკმარეს და შემდეგი ახალი გადასახადი შემოიღეს. ყველა სოფლის საზოგადოებასთან დააყენეს დარაჯად 5 და მეტი კაცი, რომელთა შესანახი ფული ხალხს უნდა გადახდეს.

ერთობის დარღვევის და ხალხის აწიოკების შემდეგ ჩვენი [illegible] ხურდავდა. არავითარი საერთო, [illegible] ორგანიზაცია არ არსებობს და მთელი ხალხის ბედ-იღბალი პოლიციაზეა დამოკიდებული. არავინა ზრუნავს არც გზებისთვის, არც ხიდებისთვის და არც სხვა საქმისათვის. ეს მეორე წელიწადია, ჩაინგრა ერთადერთი ხიდი ყვირილაზე. 20—30 ათასი მცხოვრებელი ამ ხიდით სარგებლობს, მაგრამ კი არა სჩანს, რომ თუ ახალი არა, ძველი მაინც შეაკეთოს.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა კრებამ წელს 5000 მან. გადასდო ხონის გიმნაზიის დასახმარებლად და სანაქებოდაც მოიქცა. მაგრამ კარგი იქნება ამავე კრებამ მეტი ყურადღება მიაქციოს უფრო გაჭირვებულ საჩხერის კუთხეს, რომელიც კრების სამოქმედო რაიონში შედის. სხვა არა იყოს-რა, საჩხერის ხიდის შესაკეთებლად მაინც გადაედო ცოტაოდენი ფული.

დ. საჩხერელნი მადლობელნი უნდა იყვნენ ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების დასისა, რომელიც დრო-გამოშვებით აქაც მართავს წარმოდგენებს. 1 ივლისს წარმოადგინეს ვ. გუნიას კომედია „სიძე-სიმამრი“ და ვოდევილი „ოთხი იმერელი“. ჭიათურელნი არტისტები, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სცენის მოყვარენი, ისე დახელოვნებულან, რომ ნამდვილ არტისტებს არ ჩამოუვარდებიან. არ შეგვიძლიან, არ აღვნიშნოთ ბილეთების სიძვირე. სახალხო წარმოდგენა და ბილეთი 2 მან! საჩხერეში მოხერხებული ადგილი არ არის წარმოდგენებისა, რაიცა ამ ამ საქმეს აფერხებს. ამას გარდა ხელს უშლიან ზოგიერთი ჩიტი რეკია ახალგაზდები. ამ დღეს, მაგალითად, მოქეიფეთა ერთმა ჯგუფმა იქვე სკოლასთან, წარმოდგენის დროს, დაფა-ზურნის ჭყვიტინით მოსვენება არავის მისცა. ზოგმა შიგ სათეატრო დარბაზში დაიწყო ოხუნჯობა.

მიწა-წყლის სიმცირემ საჩხერელნი ძალზე დააფიქრა. ამ ბოლო დროს ზოგიერთებმა ზაქათლის ოლქისაკენ გაიწიეს. აქ სოფელ კამადას მახლობლად იძენენ ადგილებს და ესახლებიან. ამ საქმეში ხალხს დახმარება უნდა...

**ჩრო.**

# რუსეთი

✦ **ცნობები ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ.** გაზ. „ტოვარიშჩ“-ი გადმოგვცემს შემდეგ საინტერესო ცნობებს: სოც.-რევოლიუც. ერთმა

---

დაუდევრობისა და უყურადღებობის წყალობით, მთელ ქალაქში დაძრწიან ბოროტმოქმედნი, რომელთაც სასამართლოსაგან გადაწყვეტილი აქვთ ციხეში დაპატიმრება, მაგრამ ისინი ძველებურად თავისუფლად დაეხეტებიან ქუჩებში და შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებთ. ექსპროპრიაციები გახშირდა.

იტაცებენ არა მარტო უსულო საგნებს— ფულსა და სხვას—არამედ დღისით ეზოებიდან მიერეკებიან ცოცხალ არსებებს— შინაურ პირუტყვს!..

და ყველა ეს „ცოცხალი არსება“ და „შინაური პირუტყვი“ ერთი ქათმის გულისთვის!

თქვენს სინიდისს რაღას ეუბნებით, ბ-ნნო კორესპონდენტნო?

**ორშაბათი.**

ამ კორესპონდენციისა გამო გუბერნატორისაგან მივიღე მოწერილობა დეპეშით: „მიღებულ იქმნას ზომები“.

კერძო დეპეშამ მაუწყა, რომ გუბერნატორი სარევიზიოდ მობრძანდებოდა.

ზომები მივიღე.

სიდოროვი უკვე ზის. ჩემი მეუღლის ოთახი დავუთმე. იამ სად უნდა დამებინავებინა? ჩემი მეუღლე გაკაპასდა, ცოემლად იქცა. აბრეშუმის კაბას შევპირდი.

— მოითმინე, ჩემო გვრიტო, მთელი რუსეთი ითმენს, მოითმინე შენც, ჩემო კარგო. მოთმინება ამ დროში ყველაზედ უფრო პატრიოტული მოღვაწეობაა.

სიდოროვი რბილ ლოგინში იძინებს. კიდევ ბუზღუნებს.

— ასეთ ლოგინში წოლა, თუმცა კანონიერი არ არის,—ამბობს იგი:—მაგრამ თუ ზრდილობიანი მოპყრობა მაინც მექნება, არა უშავს რა, როგორმე მოვითმენ!

როგორ მოგწონთ, ჰა?!

სადილობს ჩვენთან ერთად, საერთო სუფრაზედ.

**სამშაბათი.**

სიდოროვი თან და თან ჯუტდება ხდება.

ხვალისთვის პატიმართა სადილი დაიკვეთა.

— მსურს, რომ ყველაფერი კანონიერად იყოს. რა ეკუთვნის პატიმარს? პატიმრის სადილიო. ჩვენც ყველამ პატიმრის სადილი უნდა გიახლოთ ხვალ...

**ოთხშაბათი.**

სიდოროვის თავხედობას საზღვარი აღარა აქვს. ხომ არ მოვკლავ?!

მოითხოვა, ოთახში უბრალო ფიცრული საწოლი გამიწყეთო.

— მე ციხეში ვარ გამოგზავნილი და არა სასახლეში. ჩვენ უბრალო საწოლზედ ვართ ჩვეული!—გაიძახის.

დასთანხმდა, როგორც იყო, როიალზედ წოლას.

— კარები კი უეჭველად დაკეტილი უნდა იყოს, რათა გაქცევა ვერ შევსძლო.

დავპირდი კარების ჩაკეტვასაც.

— კარებში კი,—მოითხოვა მან:—პატარა ჭუჭრუტანა—სარკმელი გამოსჭერით და მთელი ღამე ამ ჭუჭრუტანიდან თვალი მადევნეთ, ასე ვარ ჩვეული ძილს.

ძრიელ საინტერესოა!

ჩემს სახლშიაც ხომ ყარაულებს ვერ დავაყენებ!

იძულებულნი ვართ ყველამ მთელის ღამეობით რიგრიგობით ვუდარაჯოთ.

**ხუთშაბათი.**

სიდოროვი წრეს გადავიდა.

დღეს მოითხოვა, ფანჯრებს რკინის ბადეები შემოავლეო.

თანაც კანონიერებაზედ მითითებს.

— მსურსო,—გაიძახის:—იყოს ყველაფერი კანონიერად—მორჩა და გათავდა!

ჭკვასაც მასწავლის.

— ამგვარ უყურადღებობისათვის კინწის-კვრით დაგითხოვენ თქვენ სამსახურიდან.

**პარასკევი.**

დღეს არეულობაა.

სიდოროვმა გადაჭრით მოითხოვა ციხეში გადაყვანა.

— მსურს გარშემო ციხის წეს-ჩვეულებას ვგრძნობდე. აქ აუტანელი მოწყენილობაა. ქალბატონს მთელი დღეობით ცხვირი წიგნში აქვს ჩამალული, ბავშვები რაღასაც წვალობენ, თითქოს სწავლობენო. არვინ იგინებ-ილანძღება. არავინ ქადალდს არ მეთამაშება. აუცილებლად ციხეში, საერთო ოთახში უნდა მომათავსოთ!

ძლივს ვითათბირეთ.

— ნუ თუ აქნობამდე ვერ შეგასმინე,—ვეუბნები,—რომ ყველა ადგილი პოლიტიკ...

არაფრის შესმენა არ უნდა.

— რისთვის აშენებთ ასეთ პაწია ციხეებს? მოქალაქეთაგან ათასგვარ გადასახადს იღებთ და ციხეების გაფართოებაზე კი არა ზრუნავთ!

როგორც იქმნა, დამშვიდდა. იმის გამხიარულებაში ყველამ მივიღეთ მონაწილეობა.

ჩემი ქალი როიალზე უკრავს. შვილი, გიმნაზიელი „რუსულ“ ბუქნას უვლის. ჩემი მეუღლე მკითხავის როლს ასრულებს. ხოლო მე-კი ბანქოს ვეთამაშები...

**შაბათი.**

ცხვირ დასიებული დავდივარ.

ეშმაკს რასმეს მოუგებ. ყველა ქადალდი უკვე დანიშნული აქვს!

**კვირა.**

დღეს მობრძანდა მათი ბრწყინვალება გუბერნატორი. უპირველესად პოლიტიკა შემოიარა. ყველგან იკითხა: „ხომ არა გაქვთ რა სათხოვარიო“?!

თითო ოთახიდან სამ-სამი საჩივარი მოაწოდეს.

საჩივრების გადასარჩევად ჩემს სადგომში მობრძანდნენ.

მცირე საუზმე და ყავა შევსთავაზე.

სიდოროვი, ჰარამზადა, საუზმეზედ გამოვიდა! ჰა?!..

წარუდგინე იგი.

— მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ, პატიმარი ქურდობისათვის... ჩემი მეუღლის ოთახში იმყოფება, როგორც ნათესავი...

მათი ბრწყინვალება გაკვირვებით მომაცქერდა.

— აჰა! რო ეგ ძრიელ კარგია...

— სწორედ ეგრე გახლავთ, თქვენო ბრწყინვალებავ. ციხეში უადგილობისა გამო შევსწირე მამულის საკეთილდღეოდ ჩემი მეუღლის საწოლი ოთახი. ხომ არ ისურვებს თქვენი ბრწყინვალება ამ ახალი სატუსაღოს ნახვას.

ინება ოთახის დათვალიერება. როიალის თვალს თითი შეახო.

— მოშლილა!

ეს სიდოროვის საქმეა. ბასებზედ ჩამოჯდომა მისთვის ჩვეულებაა.

მათი ბრწყინვალება კმაყოფილი დარჩა. საპატიო პირთათვის დაწესებულ წიგნში აღნიშნა:

„პატიმარნი ინახებიან სამაგალითოდ. ძრიელ სასიამოვნო იქნებოდა, ყველგან რომ ასეთ მამაშვილურ მზრუნველობას ვხედავდე.“

ყველას საჩივარი გადაუკითხავი, უყურადღებოდ დასტოვეს.

**სამშაბათი.**

ჭკუიდან ვიშლები!

რა ამბები ხდება, რა ამბები!

ჩემი ქალი ისეთ ენაზე ლაპარაკობს, რომ კატორგელიც-კი ვერ გაიგებს.

ვაჟი ყალბ ქაღალდის ფულს აკეთებს. ყველა ეს სიდოროვის გაკვეთილია,

ამას დაუმატეთ ისიც, რომ სასადილოდ სახლში დაბრუნებულს, ჩემს ოთახში საწერ სტოლზე ვიღაც უცნობი დამხვდა წამოწოლილი.

— ჩვენ კარპოვი ვართ. სიდოროვის ამხანაგი. ერთი ხელობისა, ისეთივე გაიძვერა! სასამართლოს გადაწყვეტილებით ციხეში ჩასაჯდომად მოვედით...

წარმოიდგინეთ, ეს ჰარამზადა ყველა თავის მეგობარს წერილებს უგზავნის, ეპატიჟება თურმე: მოდით, დაისვენეთო.

წერილი თვით ჩემს ვაჟს წაუღია.

**ოთხშაბათი.**

პროექტსა ვწერ.

პეტერბურგს ვგზავნი.

ამნისტიის აუცილებლობაზედ.

„პოლიტიკურ პატიმართა ციხეების პირით-პირამდე აღვსებისა გამო, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია მიეცეს ამნისტია ყველა სისხლის სამართლით დასჯილ პატიმას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დასაბინავებელი ადგილი აღარსადაა.

„ამნისტია სასურველია მოხდეს ამგვარ საფუძვლით:

„1. ქურდობისა და ცარცვა-რბევისთვის დაპატიმრებულნი სრულიად განთავისუფლდნენ, როგორც არა ეგრე საშიშნი ბოროტ-მოქმედნი.

„2. განთავისუფლდნენ აგრეთვე მკვლელობაში პასუხგებულნიც, ხოლო იმ პირობით-კი, რომ დაევალოთ მათ ნათესავებს თვალ-ყურის ჭერა მათ. ყოფა-ქცევაზედ, საზოგადო მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფლად.

„3. მამის ან დედის მკვლელი, როგორც ობოლი, მიიცეს ქალაქის ობოლთა თავშესაფარში“.

**კვირა.**

პეტერბურგიდან მივიღე დეპეშა:

„საყურადღებოა. შეიმუშავეთ დაწვრილებით“.

დაწვრილებით შემუშავებას უკვე შევუდექ.

სიდოროვი მეზობელ ოთახში მუშტით როიალის თვლებს უბრაგუნებს.

ნეტა მალე მოვესწრო პროექტის დამტკიცებას.

რამდენს მოჰხვდება მაშინ კისერში!!.

**ნიკ. ჯაფარიძე.**

ჯგუფმა. სამხედრო ორგანიზაციამ, რომელსაც მეთაურობდა „ამხანაგი ნინა“ და ნაფიცი ვექილი ფელდოსიევი, განიზრახა რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობა. რიგი მკვლელობათა—შურის ძიება იქნებოდა მოძალადე რეაქციონერების მიმართ, რიგი კი—გამოიწვევდა სახელმწიფო წეს-წყობილების შეცვლას. სამხედრო ორგანიზაციამ სიკვდილი გადაუწყვიტა სამხედრო პროკურორს პავლოვს, გრადონაჩალნიკს ფონ დერ ლაუნიცს, ლუჩნოვოს, სტოლიპინს, დიდ მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და ბოლოს თვით ხელმწიფეს. გენერალის პავლოვის მოკვლის შემდეგ პოლიციამ აღმოაჩინა ორგანიზაციის კვალი. მკვლელობების მომწყობად იყო „ამხანაგი ნინა“, რომელიც პოლიციამ ხელში ვერ ჩაიგდო. ფონ დერ ლაუნიცის მოკვლის შემდეგ პოლიციამ მიაგნო ლაბორატორიას, სადაც მზადდებოდა ყუმბარები, ასაფეთქებელი მასალა და სხ. ჯგუფის მეთაურები პოლიციამ ხელში ვერ ჩაიგდო და ამხანაგი ნინა პეტერბურგიდან მოსკოვს გაიქცა. ამის შემდეგ განზრახული იყო აფეთქება მატარებლისა, რომლითაც ცარსკოე სელოს ხელმწიფესთან მიდიოდნენ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და სტოლიპინი. აფეთქება არ მოხდა და პოლიციამ აღმოაჩინა ამ საქმის იდუმალი ორგანიზაცია. პეტერბურგში ერთი ფოსტის მოხელეს სახლში ცხოვრობდა იმისი მოზრდილი უსაქმოდ დარჩენილი შვილი, რომელიც გაეცნო სახლის დამცველ ჯარის კაცებსა და კაზაკებს, მოხერხებულად შეიტყო მათგან სხვა-და-სხვა ცნობები სასახლის შინაური ცხოვრების შესახებ და ამავე დროს იმათ სარევოლიუციო აზრებს უნერგავდა. ამ დროს კი ცარსკოე სელოს, პეტერგოფს, სერელნას, ორანიენბაუმსა და გატჩინას, სადაც ხელმწიფეს სასახლეებია, გაჩნდნენ ინტელიგენტი ქალები და კაცები, რომლებიც ეცნობოდნენ სასახლეების მოსამსახურეებს და დაცვის აგენტებს. ყველაზე მეტი ყურადღება ცარსკოე სელოზე იყო მიქცეული, სადაც ხელმწიფე ცხოვრობდა. სხვათა შორის დაცვის ერთ აგენტს დიდი ფული შეაძლია იმისმა ნაცნობმა ინტელიგენტმა, ოღონდ გაემხილა მისთვის თუ რა დღეს მივიდოდა ხელმწიფესთან სტოლიპინი. რევოლიუციონერთა მეორე ნაწილი ეცნობოდა და იკვლევდა სასახლის დიდ ბაღს, სადაც ყოველ დღე სეირნობდნენ ხელმწიფის გვარეულობის წევრნი. რევოლიუციონერები განსაკუთრებულის ყურადღებით თვალ-ყურს ადევნებდნენ რძით მოვაჭრე ქალებს, რომელთაც ნება ჰქონდათ ცარსკოე სელოს ბაღში გავლისა,—ტყობილობდან, სჩხრეკენ ამ ქალებს თუ არა. შემდეგ რევოლიუციონერებია იკვლევდენ თან-და-თან, დაცვის აგენტების საშუალებით, თუ როგორ შეიძლება სასახლის ახლოს ბაღში საიდუმლოდ შესვლა. ამ დროს ხსენებული მოხელეს შვილი სცდილობდა მიეღო იგი სასახლის მგალობელთა ხოროში, სადაც ერთი ნაცნობი კაცი ჰყავდა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. საიდუმლო პოლიცია თვალ-ყურს ადევნებდა სოციალ-რევოლიუციონერების მოქმედებას, მაგრამ ხელთ არ ქონდა საჭირო საბუთები მთელ ორგანიზაციის აღმოსაჩენად. შემდეგ ეს საბუთებიც ჩაიგდო ხელში. ბოტკინის საავადმყოფოში ერთმა მოსამსახურე მოწყალების დამ ზუბოვმა თავის მოკვლა მოიწადინა და დაიჭრა. იმისი ნივთები გაჩხრიკეს და ერთ კალათში იპოვეს ყუმბარები, იარაღი, აკრძალული ნაწერები, დახატული გეგმები პეტერბურგოფის, ცარსკოე სელოსი და გატჩინის, სადაც აღნიშნული იყო მარჯვე ადგილები ყუმბარების გადასაგდებად და სხ. როდესაც ზუბოვის ქაღალდები გაჩხრიკეს, აღმოჩნდა, რომ იგი ეკუთვნის სამხედრო ორგანიზაციას, რომელმაც განიზრახა ხელმწიფისა და წარჩინებულ მოხელეთა მოკვლა. ამის შემდეგ დაატუსაღეს თვით ზუბოვის ქალი, რომელიც დღეს მოკეთებულია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მოხელე ენმე და ორი ნაფიცი ვექილი—ტარასოვი და ჩიაბროვი, აღმოაჩინეს მთელი სამხედრო ორგანიზაცია და დაატუსაღეს 23 კაცი (2 საზღვარს გარეთ გაიქცა). საქმე შეთქმულობის შესახებ გარჩეულ იქნება პეტერბურგის ოლქის სამხედრო სასამართლოში, აგვისტოს პირველ რიცხვებში.

✦ **ექსპროპრიაცია გემზე.** 2 ივლისს ქ. ობანსკის ახლოს ლიუბიმევის გემს „ანნა სტეპანოვას“ თავს დაესხნენ ექსპროპრიატორები. ღამე, გემის უფროსთან გაჩნდა ვიღაც უცნობი კაცი და უბძანა გემი გაეჩერებინა. უფროსმა უარი უთხრა. მძარცველმა რევოლვერი ესროლა და დასჭრა იგი. ამ დროს გემზე სროლა გაისმა: რევოლვერები ესროლეს მგზავრთა შორის ერთ სალდათსა და კაზაკს. ზარდაცემული მგზავრები წამოხტნენ და დაინახეს აქა-იქ დამდგარი ექსპროპრიატორები, რომელთაც ხელში რევოლვერები ეჭირათ და მგზავრებს უყვიროდნენ: „ადგილიდან ნუ დაიძვრით და ჩუმად იყავით.“ ამის შემდეგ ექსპროპრიატორები ძარცვას შეუდგნენ: მოიტაცეს საფოსტო განყოფილებიდან ოცდა ათი ათასი მანეთი, უბძანეს მატროსებს ნავი ჩამოეშვათ, ჩასხდნენ ნავში, ნაპირისაკენ გაუდგნენ და კვალ-წმინდად განქრნენ. როცა გემი დაათვალიერეს, აღმოჩნდა, რომ კაზაკი და სალდათი მძარცველებს მოეკლათ.

✦ **მოსკოვის ამრჩევლები.** მოსკოვიდან სწერენ გაზ. „რეჩს“, რომ იქაური მკვიდრნი ერთობ გულ-გრილად ეკიდებიან მესამე სათათბიროში არჩევნებს. 40 ათას კაცს ჰქონია იქ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ამ რიცხვიდან 11 ივლისამდის მხოლოდ 700 კაცს გამოუცხადებია ქალაქის კომისიაში არჩევნებში მონაწილეობის სურვილი.

✦ **გაფიცვა ნიკოლსკის ქარხნებში.** წინად ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ნიკოლსკის ახლოს სავა მოროზოვის ქარხნებში მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ამ ჟამად იუწყებიან, რომ 13 ათას გაფიცულ მუშათა შორის 8 ათასი კაცი მუშაობას დაუბრუნდა და გაფიცვა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

✦ **სიკვდილით სასჯელი.** უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ დაამტკიცა 12 ივლისს პეტერბურგში 11 კაცის სიკვდილით სასჯელი. ყველა ეს თერთმეტი, მის მიერ დამტკიცებული, განაჩენი განსაჩივრებული იყო პროვინციის სამხედრო სასამართლოებში, მაგრამ უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა ყველა თხოვნა.

✦ **მკვლელობანი ლოძში.** სტატისტიკური ცნობებით უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში მოუკლავთ ლოძში პარტიულ ნიადაგზე 127 კაცი და 19 ქალი. შეიარაღებული თავდასხმა 83-ჯერ მომხდარა; გატაცებულ იქმნა 25 ათასი მანეთი: მძარცველების დევნის დროს დაჭრილა 76 კაცი და მოკლულ იქნა 7. მთავრობის მოხელეთაგან დაიჭრა 6, მოკლულ იქნა 16.

✦ **შეთქმულება სატუსაღოს ასაფეთქებლად.** ოდესის სატუსაღოში ადმინისტრაციამ აღმოაჩინა შეთქმულობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა სატუსაღოს ერთი ნაწილის აფეთქება, რათა ამნაირად ტუსაღებისათვის გასაქცევი გზა გაეხსნათ. გაჩხრეკამ აღმოაჩინა სატუსაღოში უცნობი გზით შეტანილი ყუმბარები, ასაფეთქებელი მასალა, იარაღი და დინამიტი. წვნიანით სავსე ჯამებში გატენილი რევოლვერები აღმოაჩინეს.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივლისი

### რ უ ს ე თ შ ი.

**პიატიგორსკი.** პოეტის ლერმონტოვის გარდაცვალების წლის თავზე გადაიხადეს პანაშვიდი იმ სასაფლაოზე, სადაც პოეტი დროებით იყო დასაფლავებული, საღამოზე თეატრში „მასკარადი“ წარმოადგინეს.

**ვილნო.** საარჩევნო კომპანიისთვის შეერთდნენ რუსი ამომრჩეველნი, ზომიერ და პროგრესიულ პარტიების წევრნი. აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტი.

სტუკინისის სახლში ყუმბარა აფეთქდა. კაცთაგან არავინ დაშავებულა.

**ვორონეჟი.** ოსტროგოჟის მაზრაში საერობო კრებაზე აირჩიეს მემარჯვენენი და ზომიერნი.

**უფა.** 13 ივლისს ვიღაც უცნობმა ქუჩაში მოჰკლა პოლიციელი.

**კიევი.** ღამე თავს დაესხნენ როდომისლის მაზრის გორნოსტაევის ფოსტის განყოფილებას. თავდამსხმელნი კანტორისავე მოხელეებმა მოიგერიეს.

**ასტრახანი.** 12 ივლისს ქალაქის განაპირას, სადაც თათრები ცხოვრობენ, ხუთი შეიარაღებული კაცი შეუვარდა ჯიმეევს სახლში. ხმაურობაზე სახლის პატრონი ქუჩაში გამოვიდა. უცნობებმა მოჰკლეს იგი, მსუბუქად დასჭრეს მისი ქალი და მიიმალნენ. დილით თათართა ბრბომ მდინარის მეორე ნაპირზე ცხრა მარცვა-გლეჯაში ცნობილი კაცი შეამჩნია. ჯიმეევის მკვლელობაში ეჭვი მათზე მიიტანეს, გამოუდგნენ და ექვსი მათგანი მოჰკლეს. სამი მათგანი წყალში კადავარდა. ისინი ახლოს მიმავალმა გემმა გადაარჩინა და ქალაქში ჩაიყვანა. ერთი მიიმალა.—საღამოზე თათრებმა მოსძებნეს იგი და მოჰკლეს.

**იუზოვკა.** სად. როზსიპნაიაზე უცნობები მეარტელეს ვაგონში შეუვარდნენ. მოჰკლეს სტრაჟნიკი. ხმაურობაზე მოსული კონდუქტორი დასჭრეს. პოლიცია დაეწია მძარცველებს. ერთი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს, სხვები დააპატიმრეს.

**ლოძი.** პარტიულ ნიადაგზე რამდენჯერმე მოხდა თავ-დასხმა. მინდორში იპოვნეს ტყვიით მოკლულ მუშის გვამი. კონსტანტივის გზატკეცილზე მძიმედ დასჭრეს რესტორანის პატრონი. ვინძევის ქუჩაზე მძიმედ დასჭრეს მუშა. ტყემი ქალაქ გარედ 8 ტყვიით მოჰკლეს ხელოსანი.

**კიშინიევი.** ქალაქის შუაგულში ერთ დიდი სახლის სარდაფში იპოვნეს 80 ბოჭკა ასაფეთქებელი მასალა და 6 მომზადებული პატრონა. ეჭვი ერთ კაცზე მიიტანეს და დააპატიმრეს.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტრომ ცირკულიარი გამოსცა, სადაც ნაჩვენებია სხვა და სხვა ზომები საშუალო სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის წარსამატებლად. მასწავლებელს წინადადება მიეცემა წინ და წინვე შეადგინოს ხოლმე მთელი წლის სწავლის გეგმა და საპედაგოგიო საბჭოს წლის დამდეგს წარუდგინოს. მოსწავლეებს უნდა მოსთხოვონ არსებითი ცოდნა და წვრილმანებს არ უნდა გამოუდგნენ. მოთხოვნილება უნდა იყოს სასტიკი და განსაზღვრული. ცირკულიარი ურჩევს მასწავლებელთ, ხშირად მიმართონ ხოლმე რაიმე კითხვით მთელ კლასსა. რუსეთის ისტორიას, ენის და ლიტერატურის ცოდნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საერო განათლების მინისტრმა ნებართვა აიღო, რომ თითოეულ სამოსწავლო ოლქის რომელსამე რეალურ სასწავლებელსა და ქალთა გიმნაზიაში დაინიშნოს გამოსაცდელი კომისიები. კომისიებში უნდა გამოსცადონ ახალი, ვინც მომავალ შემოდგომისთვის კურს ამთავრებენ.

**რიგა.** გენერალ-გუბერნატორმა გახსნა თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა წარმომადგენლების კრება, თანახმად 1905 წლის 27 ღეკემბრის უმაღლეს ბრძანებისა. სხდომებზე მონაწილეობას იღებენ წარმომადგენლები, ქალაქებისა, რუსთა ორგანიზაციებისა და სასულიერო უწყებისა. თავმჯდომარემ, გენერალ-გუბერნატორმა სიტყვა წარმოსთქვა, გაახსენა დამსწრეთ მიზანი კრებისა და იმედი გამოსთქვა, ადგილობრივ რეფორმათა საქმე აწ მაინც განხორციელდებაო. სხდომებზე ერობის საკითხის განხილვას შეუდგნენ.

**ბახმუტი.** სოფ. ენაკიევოში ლუდის საწყობის საყინულის ერთი კედელი ჩამოინგრა. როცა ჩამონანგრევს აწყობდნენ, 4 ყუმბარა იპოვნეს.

**ეკატერინოდარი.** სადგურ შაპსუგაში გასძარცვეს საარყე დუქანი. არყის გამყიდველი ხანჯლით დასჭრეს. ერთი კაციც დასჭრეს თოფით.

**ჩერნიგოვი.** ზლინკის მახლობლად გასძარცვეს სტაროობრ ადცების დედათა სკიტი. მოიტაცეს ოქრო-ვერცხლის ნივთები, მარგალიტები და 1500 მანეთი ფული.

17 ივლისი

### უ ც ხ ო ე თ შ ი.

**სტამბოლი.** პორტამ შემდეგის დეპეშით მიმართა საბერძნეთის მთავრობას: „მიუხედავად საგარეო საქმეთა მინისტრის და მინისტრ პრეზიდენტის აღთქმისა და რწმუნებისა ბერძენთა რაზმების რიცხვი დღითი-დღე მრავლდება. რაზმთა რიცხვი ახლა ასამდეა. ბევრს მათგანს ბერძნების სახელ გამოცვლილი აფიცრები მეთაურობენ. ჩვენ იძულებულნი ვართ მივმართოთ საბერძნეთის მთავრობის სიბრძნეს და წინდახედულობას და გადაჭრით გავახსენოთ მას ხელ-შეკრულობის დაცვის აუცილებელი საჭიროება. ყველა ბერძენი ოფიცრები, რომელიც რაზმებს მეთაურობენ, უნდა გაწვეულ იქმნან. ზომები უნდა მიიღონ, რომ ათინის კომიტეტებმა რაზმებს არავითარი დახმარება არ აღმოუჩინონ“. ეს დეპეშა გაეგზავნა ოსმალეთის ელჩებს, რომ მათ დიდ სახელმწიფოებს აცნობონ.

**ნიუ-იორკი.** დილით ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ექვს სართულიანი სახლი დაიწვა. ცეცხლმა 29 კაცი იმსხვერპლა 30 კაცი დაითუთქა. უმრავლესობა იტალიელნი არიან. ზოგიერთნი ფანჯრიდან გადავარდნენ, ზოგი ცოცხლად დაიწვა.

**სტამბოლი.** სტამბოლში დაიბარეს კუნძულ სამოსის მთავარი კონსტანტინე ყარა თეოდორი. ამ დღეებში აქ მოვიდა დეპუტაცია, რომელმაც მთავარზე საჩივარი შემოიტანა. სამოსის მთავრობის მაძიებელნი ყოველ დღეს ხმარობენ, როგორმე ყარათეოდორე ადგილიდან ჩამოაგდონ.

**ხოფია.** მწერალთა ვაზოვის და ველიჩკოვის ინიციატივით მოხდა მოქალაქეთა კრება. დაესწრო დიდძალი ხალხი. დაადგინეს, სთხოვონ მთავარს, რომ დახურული უნივერსიტეტი კვლავ გახსნას და პროფესორებადაც ისევ ძველები დასტოვოს.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელდიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

ს ა ღ ა მ ო თ ი თ:

**ა ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—115)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

**კეფირი ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—45) პატივ. **ო. კორონა**.

**კლინიკა**

კბილის ავადმყოფობისა

**ლ. მტრელიშვილისა**

კბილის საექიმო სკოლისთან

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | | |
| პლომბა გუდაპერჩისა | | | 50 „ |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. | | |
| „ „ მეტალიური | 1 „ | | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ | 50 „ | |
| „ „ ემალისა | 1 „ | 50 „ | |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ | | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ | | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ | | |
| „ „ კრამპონისა | 1 „ | 50 „ | |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | | |
| „ „ თითო კავი | 1 „ | | |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ | | |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ | | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ | | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | | | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | | | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | | | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | | | |

(100—ბუხ.—20)

**მასწავლებელთ საყურადღებოთ!**

**„არითმეტიკული კრებული“**

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. მეორე ნაწ. «კრებულისა», (მისივე)—40 კ.

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კ.

ამ დედანთან სახმარებელი რვეულები I და II №—3 კაპ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი **ქართული წიგნები** და **სკოლებში სახმარებელი ქართულ რუსული სახელმძღვანელოები.**

მსურველს ფას დადებითაც გზეგზავნება მისამართი: Тифлисъ книжн. магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **ნიკო მერკვილაძე.**

(20—193—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იამვალისა . . . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**. მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.). ა. ფრონელისა. . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—9)

**ახლად მოწყობილი სტამბა**

**„იდეალი“**

ელექტრონით მსწრაფლ-მბეჭდავი.

**მიიღება ყოველგვარი**

**საქმე რუსულ და ქართულ ენაზე.**

**ფასები ზომიერია**

ასრულებს სუფთად და კოხტად.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, № 6. (სტ. 0—3)